პროექტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (ვებგვერდი, 11/02/2020) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 5-ით („საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 დადგენილება) დამტკიცებული „დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო (დანართი 3)“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3

დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო

თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო**
დამოუკიდებელი ინსპექტორი	6700“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტას. პროექტის მომზადება განპირობებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით. კერძოდ, ორგანული კანონის 51^1 მუხლის 8^1 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების შესაბამისად.

მოსამართლის შრომის ანაზღაურება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შედგება თანამდებობრივი სარგოსგან და დანამატისგან. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგო, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს 5000 ლარს. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განსაზღვრულია 1700 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნასთან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისობის მიზნით, ამ უკანასკნელის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების ოდენობით, 6700 ლარით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო დაფინანსდება საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.